2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული PEERS საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული PEERS საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში სასწავლო სტიპენდიბის კანდიდატების შერჩევა 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის.

2. კომისიის შეფასება

კომისია ახორციელებს დოკუმენტაციის შეფასებას მინიოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ქვემოთ მოცემული შეფასების კრიტერიუმების თანახმად.

3. შეფასების კრიტერიუმები

1. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA) - (0-8)
2. რეზიუმე (0-3)
3. მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების/არჩეული საგნების თანხვედრა (0-6)
4. ენის ცოდნის დონე (0-3)

4. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.